სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 **აგვისტო, 2026 წელი**

ბრძანება №01-02/160

2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის **(ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,2025 წლის 17 დეკემბრამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსების წესისა და პირობების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის №3 დადგენილების, „იმ საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვთ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მაისის №212 დადგენილების, ,,საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წესისა და პირობების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 ივლისის №359 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების", ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/125 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **2026-2027** სასწავლო წლის **შემოდგომის სემესტრისათვის** (სწავლის დაწყება - 2026 წლის 28 სექტემბერი) განისაზღვროს ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **სტუდენტთა** (გარდა 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების და ერთიანი სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული პირებისა) **ადმინისტრაციული რეგისტრაციის** (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) **შემდეგი ვადები:**

ა) I ეტაპზე - 2026 წლის **12 ოქტომბრის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **40%** (შენიშვნა: პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსშეჩერებული სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების (აღდგენის) შესახებ განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს და **სწავლის საფასური გადახდილი,** 2026 წლის 28 სექტემბრიდან (სემესტრის დაწყება) 15 დღის ვადაში - 2026 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით);

ბ) II ეტაპზე – 2026 წლის **13 ნოემბრის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**

გ) III ეტაპზე – 2026 წლის **31 დეკემბრის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%.**

2. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,აკადემიური კალენდარი" და ,,რექტორის აქტები"), ასევე ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს სოციალურ ქსელში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (მათ შორის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და ფაკულტეტებს.
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**